ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

კრედიტების აღიარების წესი

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 30.01.2023 წ.

დადგენილება N3.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 28.01.2025 წ.

დადგენილება N42.

მუხლი 1. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენის და მიღებული განათლების აღიარება

1.1. წესი არეგულირებს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის/აღდგენის მსურველი პირის, ასევე „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) შიდა მობილობის/აღდგენის მსურველი პირის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების თავსებადობის განსაზღვრისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების პრინციპებს;

1.2. წესი არეგულირებს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას და უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიღებისა და ჩარიცხვის პრინციპებს.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენა

2.1. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენას ახდენს ხარისხის მართვის სამსახური, საგანმანათლებლო პრაგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, დეკანი/დეკანის მოადგილე, დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი;

2.2. ამავე მუხლის 2.1. პუნქტში მითითებული პირები ადგენენ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებენ გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია სწავლა განაგრძოს შესაბამისი სემესტრიდან. აღნიშნული გადაწყვეტილება დადასტურებული უნდა იყოს მობილობის მსურველის მიერ (დანართი N1), (დანართი N2);

2.3. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზეც ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2.4. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარება შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტის პირადი საქმის ან/და სტუდენტის მიერ შესწავლილი საგანმანათლებლო პროგრამისა (კურიკულუმი) და სასწავლო კურსების (სილაბუსები) შინაარსობრივი შესწავლის საფუძველზე;

2.5. საგანმანათლებლო პროგრამის (მიღებული კრედიტების) აღიარების დროს ხდება სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული სასწავლო კურსების კრედიტების შედარება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებთან;

2.6. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა:

ა. მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;

ბ. თუ ერთი და იგივე სასწავლო კურსისთვის მიმღები სკოლის მიერ რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ECTS კრედიტი განსხვავებულია, აღიარება ხდება მიმღები სკოლის პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების შინაარსობრივი თავსებადობის გათვალისწინებით;

2.7. სასწავლო კურსების კრედიტების აღიარებისას მხედველობაში მიიღება სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლის მიზნები და შედეგები, მათი შესაბამისობა ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან (დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები);

2.8. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გასაუბრების საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა;

2.9. სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით, შესაძლებელია აღიარებული იქნეს არჩევითი ან თავისუფალი კრედიტის სახით იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს არჩევით ან თავისუფალ კომპონენტს;

2.10. აღიარების გარეშე დარჩენილი კრედიტები, სტუდენტის მოთხოვნის შემთხვევაში, აისახება დიპლომის დანართში;

2.11. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა სტუდენტის სასურველი პროგრამის სასწავლო კურსის დასახელებასა და კრედიტს, მაშინ სასწავლო კურსის აღიარება ხდება ავტომატურად;

2.12. საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენისა და კრედიტების აღიარების შედეგად განი-საზღვრება კრედიტების რაოდენობა, რომელიც სტუდენტს უღიარდება ახალი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის და რომლის მიხედვითაც დგინდება საგანმანათლებლო პროგრამის რომელი სემესტრიდან აგრძელებს სწავლას სტუდენტი.

მუხლი 3. სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება

3.1. იმ შემთხვევაში, თუ მობილობის მსურველმა პირმა უნივერსიტეტს წარუდგინა ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არ არის შესრულებული ECTS/ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, ამავე წესის მეორე მუხლის 2.1. პუნქტში მითითებული პირები უფლებამოსილნი არიან მობილობის მსურველ პირს მოსთხოვონ ECTS/ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი წარდგენა ან კანონმდებლობით დადგენილი წესით თვითონ გაიანგარიშონ სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით და მოახდინონ გადაყვანა შემდეგი წესების დაცვით:

ა. თუ საგანმანათლებლო პროგრამა შესრულებულია ასტრონომიულ საათებში, ცალკეული სასწავლო კურსის საერთო რაოდენობა მრავლდება 3 - ზე და იყოფა ერთი კრედიტის ეკვივალენტზე საათებში, ანუ 25-ზე. მაგ., თუ ასტრონომიულ საათებში საგნის

დატვირთვა შეადგენს 60 საათს, ის მრავლდება 3-ზე და იყოფა 25-ზე: 60x3/25=7,2, დამრგვალებით შეესაბამება 7 კრედიტს;

ბ. თუ სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული შეფასება შეესაბამება 5 - ბალიან სისტემას, უნდა მოხდეს მისი გადაყვანა 100 - ქულიან შეფასების სისტემაზე შემდეგი პრინციპით:

- შეფასება 5 - (A) 95 ქულა;
- შეფასება 4,5 - (B) - 85 ქულა;
- შეფასება 4 - (C) - 75 ქულა;
- შეფასება 3,5 - (D) - 65 ქულა;
- შეფასება 3 - (E) - 55 ქულა.

შეფასება „ჩაეთავალა“ - ს გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით: 5 ბალიანი შეფასების სისტემით გამოცდებზე მიღებული შეფასებების 100 - ქულიანი შეფასების სისტემაზე მოდიფიცირების შედეგად მიღებული ქულების საერთო ჯამი (შეკრებილი ციფრი), იყოფა ამ სასწავლო კურსების რაოდენობაზე და მიღებული ციფრი ჩაითვლება „ჩათვლით“ დამთავრებული სასწავლო კურსის შეფასების ეკვივალენტად. მაგ:. 81(4)+91(5)+71(4)+71(4)+91(5)+81(4)=486/6=81(B);

3.2. პროგრამების თავსებადობა/შესაბამისობა ფორმდება წარმოდგენილი კრედიტების აღიარების დასკვნის საფუძველზე გამოცემული რექტორის სამართლებრივი აქტით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღებ საგანმანათლებლო პროგრამასთან, ასევე აღიარებული/თავსებადი კრედიტების რაოდენობა, და საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია სტუდენტისათვის შეთავაზებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ (დანართი N3);

3.3. უნივერსიტეტის კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე შეიმუშავებს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის თაობაზე და სტუდენტის ჩარიცხვა მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

3.4. კანონმდებლობით დადგენილი წესით უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტის მოთხოვნით უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანამანათლებლო პროგრამასთან პირის მიერ საქართველოში ლიცენზირებულ ან ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღწეული შედეგების თავსებადობას და ცენტრის მომართვის საფუძველზე შეიმუშავებს დასკვნას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ;

3.5. თუ სტუდენტს უღიარდება ინტეგრირებული სასწავლო კურსი პირველად სასწავლებელში

ათვისებული საგნების ერთობლიობით, ქულის პირობითი მინიჭება ხდება აღიარებულ საგნებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

4.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

4.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

4.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

4.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.

დანართი N1

„ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“					
მობილობის წესით გადმოსვლის მსურველი სტუდენტის კრედიტების აღიარების დასკვნა					
სტუდენტის სახელი, გვარი					
სტუდენტის პირადი/პასპორტის ნომერი					
გამშვები უსდ					
გავლილი საგანმანათლებლო პროგრამა					
„ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის “ თავსებადი საბაკალავრო პროგრამა					
გავლილი პროგრამის ფარგლებში ათვისებული სასწავლო კომპონენტები	მოპოვებული კრედიტი	შეფასება	პროგრამულად თავსებადი სასწავლო კომპონენტები	აღიარებული კრედიტი	შეფასება
დაგროვილი კრედიტების რაოდენობა	------		აღიარებული კრედიტების რაოდენობა	------	

დასკვნა: რეკომენდებულია სტუდენტმა სწავლა განაგრძოს ----- სემესტრიდან.

სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის ასათვისებელი სასწავლო კომპონენტების კრედიტების ჯამი შეადგენს ------ კრედიტს.

შენიშვნა: სტუდენტი განსხვავებულ/დამატებით სასწავლო კომპონენტებს გაივლის მასთან შეთანხმებული ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის მიხედვით
დასამტკიცებლად წარედგინოს „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“ რექტორს

ხარისხის მართვის სამსახური:

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

სკოლის დეკანი:

სტუდენტის ხელმოწერა:

დანართი N2

„ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“

(სტუდენტის თანხმობის განაცხადი

აღიარებული კრედიტების რაოდენობაზე)

_ _ _ _

ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა

„ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ რექტორის _ _ _ _ წლის _ _ _ _ (თარიღი) ბრძანების_ _ _ _ საფუძველზე _ _ _ _ _ _ _ _ _ სასწავლო წლის _ _ _ _ _ _ _ _ _ სემესტრში სტუდენტის სტატუსის მობილობის საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტს _ _ _ _ _ _ _ _ _

	სულ			

დასამტკიცებლად წარედგინოს „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“რექტორს.

სკოლის დეკანი:

სტუდენტი: